პროექტი

საქართველოს კანონი

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 5, 20.01.2006, მუხ. 42) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. 31-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 31. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების** გათვალისწინება მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატურის შერჩევისას

მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევისას მხედველობაში მიიღება იუსტიციის მსმენელის რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში, აგრეთვე **იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომელიც მოიცავს:**

ა) თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის შედეგების შეფასებას;

ბ) სტაჟირების გავლის შედეგების შეფასებას;

გ) სემინარული მუშაობის შედეგების შეფასებას;

დ) დამამთავრებელი გამოცდის შედეგების შეფასებას;

ე) სტაჟირების ხელმძღვანელის შეფასებას;

ვ) სკოლის მასწავლებელთა შეფასებას;

ზ) იუსტიციის მსმენელის მიერ სტაჟირების გავლისას შედგენილი წერილობითი ანგარიშის და **შესრულებული ნაშრომის შეფასებას;**

თ) იუსტიციის მსმენელის დისციპლინას.“.

2. 36-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 36. სკოლაში სწავლისაგან განთავისუფლება**

მოსამართლის თანამდებობის **დასაკავებლად** სკოლაში **სწავლისაგან** **თავისუფლდება** ყოფილი **მოსამართლე, რომელსაც ჩაბარებული აქვს** **მოსამართლეობის** საკვალიფიკაციო **გამოცდა** და **გამწესებული** იყო **მოსამართლის** **თანამდებობაზე** საქართველოს **უზენაეს** სასამართლოში ან **რაიონული** (საქალაქო) **და** სააპელაციო **სასამართლოში** **კონკურსის** წესით, **თუ** მას **აქვს** **მოსამართლედ** **მუშაობის** **არანაკლებ** 18 **თვის** **გამოცდილება.** **პირი, რომელმაც** **გაიარა** **იუსტიციის** **უმაღლესი** **სკოლის** **სრული** **სასწავლო** **კურსი** **და** **შეყვანილ** **იქნა** **იუსტიციის** **მსმენელთა** **საკვალიფიკაციო** **სიაში,** **მოსამართლის** **თანამდებობის** **დასაკავებლად** **თავისუფლდება** **სკოლაში** **სწავლისაგან,** **მიუხედავად** **იმისა,** **რა** **ვადით** **ეკავა** **მას** **მოსამართლის** **თანამდებობა** **ან** **სკოლის** **დამთავრების** **შემდეგ** **დაინიშნა** **თუ** **არა** **იგი** **ამ** **თანამდებობაზე.**“

3. 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. **დამოუკიდებელი** **საბჭოს** **მიერ** **იუსტიციის** **მსმენელთა** **პირველი** **საკვალიფიკაციო** **სიის** **დამტკიცების** **შემდეგ** **მოსამართლედ** **შეიძლება** **გამწესდეს** **მხოლოდ** **ის** **პირი,** **რომელიც** **აკმაყოფილებს** **„საერთო** **სასამართლოების** **შესახებ“** **და** **„საქართველოს** **უზენაესი** **სასამართლოს** **შესახებ“** **საქართველოს** **ორგანული** **კანონებით** **და** **ამ** **კანონით** **დადგენილ** **მოთხოვნებს.**“.

4. 38-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად სკოლაში სწავლისაგან ყოფილი მოსამართლის **გათავისუფლების საფუძვლები** განისაზღვრება „საერთო სასამართლოების შესახებ“ და **„საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“** საქართველოს ორგანული კანონებით დადგენილი წესით.“;

ბ) მე-3 და მე-4 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს მიერ იუსტიციის მსმენელთა პირველი საკვალიფიკაციო სიის დამტკიცებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი